

სტატიის

სვეტლანა ბერიკაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიოტინგენის გეორგ-აუგუსტის სახელობის უნივერსიტეტი

დამოკიდებულია თუ არა ერგატიული ბრუნვის მინიჭება გარდამავლობაზე ქართულში?

საკვანძო სიტყვები: დამოკიდებული ბრუნვა, გარდამავლობა, ერგატივი, ქართული

1. შესავალი

1.1. თეორიული ჩარჩო

ცნობილია, რომ ერგატიული ბრუნვა (ERG), თუ კი ის სტრუქტურულია, სახელს შეიძლება მიენიჭოს ან ფუნქციურ კატეგორიასთან შეთანხმების გზით ან დამოკიდებული ბრუნვის წესით (სტრუქტურული ბრუნვების შესახებ იხ. Baker 2013). სტატიაში გამოყენებულია მარანცის (1991) მიერ შემუშავებული და შემდგომში მაკფადენის (2004), ბობალიკის (2008), ბეიკერისა და ვინოკუროვის (2010), ბეიკერის (2014, 2015) და ბეიკერისა და ბობალიკის (2017) მიერ განვითარებული დამოკიდებული ბრუნვის თეორია (აქ და შემდგომში DCT). DCT-ს მთავარი იდეა ის არის, რომ ERG ზედა NP-ს ენიჭება მაშინ, როცა იმავე დონეზე ორი NP გვხვდება. DCT-ს მთავარი წესია შემდეგი: „თუ NP₁ სტრუქტურულად მართავს (c-commands) NP₂-ს და ორივე ერთსა და იმავე დონეზე გვხვდება (ვთქვათ, ერთსა და იმავე წინადადებაში), მაშინ NP₁-ის ბრუნვის მნიშვნელობა იქნება ერგატივი“ (Baker and Bobaljik 2017, 112). აღნიშნულ თეორიაში გადამწყვეტია სტრუქტურაში ორი არგუმენტის არსებობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარდამავლობა. ერგატიული ენების (შიპიბო, სახა და სხვ.) მაგალითზე დაყრდნობით ბევრი მეცნიერი ერგატიულ ბრუნვას დამოკიდებულ ბრუნვად

მიიჩნევს (იხ. Marantz 2000 [1991]; Bobaljik 2008; Baker and Vinokurova 2010; Baker 2013, 2014, 2015; Preminger 2014; Levin and Preminger 2015; Baker and Bobaljik 2017 და სხვ.).

ქართული ERG ბრუნვა წარმომშობი გრამატიკის თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა საერთაშორისო დისკურსში ქართული ჰინდისა და ბასკური ენების მსგავსად უფრო კარგადაა განხილული, ვიდრე სხვა ერგატიული ენები. მისი შესწავლა კი სხვადასხვა სტატიაში წარმოდგენილი რამდენიმე საკითხის განხილვით შემოიფარგლება. ბრუნვის მინიჭებასთან დაკავშირებით ქართული მაგალითები შემდეგ ლიტერატურაში გვხვდება: (ა) მარანცის (2000 [1991]) სტატია, რომლის მიხედვითაც ქართული ერგატივი შეიძლება განიხილებოდეს როგორც DCT-ს მაგალითი, (ბ) ლეგატის (2008) სტატია, რომელიც ქართულ მაგალითებს იყენებს თანდაყოლილი ბრუნვის თეორიის (ICT, რომელიც ამ სტატიაში არ განიხილება) არგუმენტირებისას, (გ) ურას (2006) სტატია, რომელიც იკვლევს ასპექტით განპირობებული ხლეჩილი ერგატიულობის სინტაქსურ მექანიზმს ჩომსკის (1995, 2000) თეორიის ფარგლებში და (დ) ნეშის (2017) სტატია, რომელიც ხლეჩილ ერგატიულობას ქართულში იკვლევს ერგატიული და ნომინატიური სხვაობების განსაზღვრის მიზნით და აჩვენებს, რომ ბრუნვის მარკირება ხდება არა თეგა როლების, არამედ ფორმალურ-სინტაქსური გარდამავლობის ზეგავლენით. შესაბამისად, ქართულ ერგატივს ნეში (2017) დამოკიდებულ ბრუნვად (მცირე კონფიგურაციებით) განიხილავს, თუმცა ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში მას თანდაყოლილად მიიჩნევს (იხ. Nash 1996).

წინამდებარე ნაშრომი ემპირიულ მონაცემებს იყენებს იმის საჩვენებლად, რომ ქართულში ერგატიული ბრუნვის მინიჭების გადამწყვეტ ფაქტორს გარდამავლობა წარმოადგენს.

1.2. ინფორმაცია ქართული ერგატიულობისა და გარდამავლობის შესახებ

ქართული ე.წ. ხლეჩილი ერგატიული წყობის (split ergativity) მქონე ენაა, რომელშიც პარალელურად დასტურდება როგორც ერგატიული, ასევე არაერგატიული ფორმები. ეს დაყოფა დამოკიდებულია დროისა და ასპექტის გამიჯვნაზე. დრო-ასპექტი-კილო (TAM) ქართულში ტრადიციულად „მწკრივებად“ იწოდება და წარმოდგენილია სამი სერიის სახით. იხ. ცხრილი 1.

ცხრილი 1: დრო-ასპექტი-ვილოს სერიები
(შანიძის მიხედვით, 1980)

სერიები	წრეები	მწკრივები
I	აწმყო	აწმყო უწყვეტილი აწმყოს კავშირებითი
	მომავალი	მყოფადი ხოლმეობით-შედგობითი მყოფადის კავშირებითი
II		წყვეტილი მეორე კავშირებითი
III		პირველი თურმეობითი მეორე თურმეობითი
		მესამე კავშირებითი

წინამდებარე კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე სერიის მწკრივები, რომლებშიც მოისაზრება სრული ასპექტის არსებობა, რადგანაც გარდამავალი ზმნების სუბიექტი ერგატიულ ბრუნვას მხოლოდ ნამყო სრულში ითხოვს. ერგატიული წყობა გულისხმობს, რომ გარდაუვალ სუბიექტსა (S) და ობიექტს (O) მსგავსი, ძირითადად, აბსოლუტივის კოდირება ახასიათებს, ზოგ ენაში – ნომინატიური, მაშინ, როცა გარდამავალ სუბიექტს (A) თავისი საკუთარი ერგატიული ბრუნვა აქვს. ქართულს მკვეთრად გამოხატული ერგატიული წყობა არ ახასიათებს, თუმცა ლიტერატურაში იყო ქართულის აქტიური წყობის სახით წარმოჩენის მცდელობა, სადაც არაერგატიული ზმნების სუბიექტებს – A, ხოლო დანარჩენ გარდაუვალ ზმნებს O ახასიათებს. წყობების შესადარებლად იხ. ცხრილი 2.

ცხრილი 2: აკუზატიური vs ერგატიული vs აქტიური წყობა

	აკუზატიური წყობა		ერგატიული წყობა		აქტიური წყობა	
გარდამავალი	SNOM	OACC	SERG	OABS	SERG	OABS
არაერგატიული	SNOM		SABS		SERG	
არაკუზატიური	SNOM		SABS		SABS	

აღნიშნული საკითხი აქტიურად განიხილება ჰარისსა და ჰიუიტს შორის, ჰარისი მხარს უჭერს აქტიურ წყობას, ხოლო ჰიუიტი ერგატიულს (იხ. Harris 1981, 1982, 1990; Hewitt 1982, 1987, 1995; ასევე, იხ. Amiridze 2006 ქართულის ერგატიულობის შესახებ). თუმცა, არსებობს ძალიან ბევრი ერგატიული ენა, რომელშიც არაერგატიული ზმნების არგუმენტს ერგატიული ბრუნვა აქვს. წინამდებარე მსჯელობისთვის არაერგატიული ზმნები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ზუსტად ამ ზმნების შემთხვევაში ჩნდება პრობლემები როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ დონეზე.

1.3. კორპუსული მონაცემები და წინასწარი ვარაუდი

ქართულში დიფერენცირებული სუბიექტის მარკირების (DSM) თვისებების შესწავლაზე ორიენტირებული პროექტის ფარგლებში 2019 წელს მოხდა კორპუსული მონაცემების შეგროვება. მონაცემების მოპოვების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა არა ენის კომუნიკაციურ სიტუაციაში დოკუმენტირება, არამედ DSM-ის მახასიათებელი სხვადასხვა გრამატიკული თვისებით მანიპულირება ქართულში. ზეპირი კორპუსის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენდა: ა) DSM-ის თვისებებისა და გამოყენების შესწავლა და ბ) DSM-ის მთავარი ნიშნების იდენტიფიცირება სხვადასხვა დიაგნოსტიკური ტესტის საფუძველზე.

კორპუსი მოიცავს 21 ინფორმანტის მონაცემებს, ვისთვისაც ქართული მშობლიურია (მათ შორის, 6 ბილინგვია). კვლევაში მონაწილე პირების (6 კაცი და 15 ქალი) როგორც ასაკობრივი ზღვარი, ასევე პროფესიული გამოცდილება სხვადასხვანაირია. ასაკი მერყეობს 16-დან 74 წლამდე, საშუალო ასაკი არის 37,76. ყველა ინფორმანტმა ერთნაირი ტესტი შეავსო. შესაბამისად, მოგროვილი მონაცემები მაქსიმალურად შედარებადია. ბილინგვების ჩართულობის მიზანს წარმოადგენდა იმ პრობლემური საკითხების გამოვლენა, რომელიც ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა ინფორმანტი ფლობს სტრუქტურულად განსხვავებულ ერგატიულ და აკუზატიურ სისტემებს ან მშობლიურ, ანდა ბილინგვურ პროფესიონალურ თანაბარ დონეზე. ბილინგვების მეორე ენას რუსული წარმოადგენდა, რომელიც არამონათესავე ენათა ოჯახს განეკუთვნება.

ზეპირი მონაცემები ინტერვიუებით და სხვადასხვა დიაგნოსტიკური ტესტით მოიცავდა 19 სავარჯიშოს, რომლებშიც, როგორც მინიმუმ, 7 წინადადება უკავშირდებოდა DSM-ს სხვადასხვა გრამატიკული თვისების მანიპულირებით. ტესტები მოიცავდა, მაგრამ არ შემოიფარგლებოდა შემდეგი საკითხებით: ბრუნვის მინიჭების დამოკიდებულების შემოწმება სუბიექტის სულიერებასა და ზმნის გარდამავლობაზე,

სტრუქტურული და არასტრუქტურული ბრუნვის დაპირისპირება, დატიური და ერგატიული სუბიექტის რაობის დადგენა და სხვ.

DCT-ზე დაყრდნობით წინასწარი ვარაუდი ასეთია: ERG ენიჭება გარდამავალი და არა გარდაუვალი პრედიკატების არგუმენტს, სადაც ორი NP ერთ დონეზე გვხვდება. თუმცა, პრობლემები ჩნდება არაერგატიულ გარდაუვალ ზმნებთან, რომლებშიც შიდა არგუმენტი ნათლად წარმოდგენილი არ არის¹ და რომლებიც ითხოვს ერგატივს. მეცნიერთა ვარაუდით, მსგავს შემთხვევებში უნდა არსებობდეს ფარული არგუმენტი (implicit argument), რომელიც ერგატივის მინიჭებისას ბრუნვის ოპოზიციას (case competitor) წარმოადგენს (იხ. Levin 1983, Bobaljik 1993, Laka 1993 და სხვ. ბასკურ ენაში ფონეტიკურად ნულოვანი არგუმენტის არსებობის შესახებ). აღნიშნული კვლევის მთავარი ამოცანაა ემპირიული მონაცემების საფუძველზე იმის ჩვენება, რომ გარდამავლობა ერგატივის მინიჭებას გარდაუვალი არაერგატიული ზმნების შემთხვევებშიც განაპირობებს.

სტატიის სტრუქტურა შემდეგია: ნაწილი 2 განიხილავს ექსპერიმენტულ დონეზე ბრუნვის მინიჭების დამოკიდებულებათა ტესტირებას ისეთი თვისებებისა, როგორებიცაა სულიერება, დრო და ასპექტი და გარდამავლობა; ნაწილი 3 მოიცავს სამ ქვეთავს, რომლებშიც ნაჩვენებია და გაანალიზებულია კვლევის შედეგები, კერძოდ: ა) სუბიექტისა და პრედიკატის სხვადასხვა თვისებით მანიპულირება (3.1), ბ) მონაწილეების ინტუიციის ტესტირება (3.2) და გ) პრობლემურ წინადადებებში გამოყენებული სტრატეგიები (3.3); ნაწილი 4 აერთიანებს ამ საკითხების განხილვას და დასკვნით შენიშვნებს.

2. კვლევითი ნაწილი

კვლევის მთავარი მიზანია ქართულენოვანი ემპირიული მასალის საფუძველზე ბრუნვის მინიჭების გარდამავლობაზე დამოკიდებულების შესწავლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კორპუსულ მასალაზე დაყრდნობით ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელიც შემდეგ საფეხურებს მოიცავდა: ა) კორპუსის შექმნა; ბ) კორპუსის ტრანსკრიბირება Toolbox-ისა და ELAN-ის გამოყენებით; გ) ბრუნვის მინიჭების დამოკიდებულების ტესტირება გარდამავლობასთან მიმართების დასადგენად სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით. აღნიშნული ექსპერიმენტი ამ ნაწილში დაწვრილებით განიხილება.

1 ქართულში ზოგიერთ არაერგატიულ ზმნას შეუძლია ობიექტის დართვა, მაგალითად *იცეკვა ცეკვა*, *იმღერა სიმღერა* და სხვ. არაერგატიულ ზმნებთან შიდა არგუმენტის გამოყენება ვრცლად სხვა სტატიაშია წარმოდგენილი და ამიტომაც აქ აღარ განიხილება.

ექსპერიმენტი, რომელიც იკვლევდა ბრუნვის მინიჭების დამოკიდებულებას გარდამავლობაზე, სულიერებაზე, დროსა და ასპექტზე 1.3 პუნქტში აღწერილი კორპუსის ნაწილს წარმოადგენს. ის სხვადასხვა პირობას მოიცავდა (იხ. ცხრილი 3), კერძოდ, აქ შედიოდა სამი ძირითადი ფაქტორით მანიპულირება: პრედიკატის ტიპი (4 დონე ზმნის გარდამავლობაზე დაყრდნობით: გარდამავალი, ირიბ-გარდამავალი, არაერგატიული და არააკუზატიური), სუბიექტის სულიერების თვისება (3 დონე: ვინ ჯგუფი, რა ჯგუფი (სულიერი) და რა ჯგუფი (უსულლო)) და წინადადების შედგენა დროის კატეგორიის გათვალისწინებით (3 დონე ასპექტურ სხვაობაზე დაყრდნობით: უსრული, სრული და პერფექტი).

ცხრილი 3: ექსპერიმენტის პირობები

პრედიკატის ტიპი გარდამავლობა	სუბიექტის თვისება სულიერება	წარსულში წინადადებების შედგენა ასპექტი
გარდამავალი	ვინ ჯგუფი	IPFV
	რა ჯგუფი (სულიერი)	PFV
	რა ჯგუფი (უსულლო)	PRF
ირიბ-გარდამავალი	ვინ ჯგუფი	IPFV
	რა ჯგუფი (სულიერი)	PFV PRF
არაერგატიული	ვინ ჯგუფი	IPFV
	რა ჯგუფი (სულიერი)	PFV
	რა ჯგუფი (უსულლო)	PRF
არააკუზატიური	ვინ ჯგუფი	IPFV
	რა ჯგუფი (სულიერი)	PFV
	რა ჯგუფი (უსულლო)	PRF

სამი ფაქტორი შემდეგი მიზეზით შეირჩა: პირველი – გარდამავლობა – გადამწყვეტი ფაქტორია ერგატიული ბრუნვის მინიჭების თვალსაზრისით ნამყო სრულში. შესაბამისად, აქ შეიძლება არსებობდეს ბრუნვის შერჩევის გრადაცია ან, როგორც მინიმუმ, ყოყმანი/შეყოვნება ზმნების დამუშავების პროცესში. საუბარია იმ არაერგატიულ ზმნებზე, რომლებსაც სტრუქტურაში შიდა არგუმენტი არ

გააჩნიათ, თუმცა მაინც ირჩევენ ერგატივს და იმ ზოგიერთ არააკუზატიურ ზმნაზე, რომლებიც ნამყო სრულის საკუთარ ფორმებს სესხულობენ გარდამავალი ზმნებისაგან. მეორე – სულიერება – შეიძლება იმიტომ, რომ უსულო ობიექტები ერგატიული ენების უმეტესობაში ერგატიულ ბრუნვას ვერ იღებენ მინიჭებული თემატური როლის ზეგავლენით, რომელიც ასოცირდება გარე და არა შიდა არგუმენტთან. მიუხედავად იმისა, რომ სულიერება არ წარმოადგენს ბრუნვის მინიჭების შემზღვეველს ქართულში, უსულო სუბიექტები ძალიან იშვიათად გამოიყენება გარდამავალი ზმნების სუბიექტების ფუნქციით. ინფორმანტების სამაგალითო ნიმუშების გარჩევა იძლევა პრობლემის აღმოჩენის შესაძლებლობას უსულოებთან ერგატივის დამუშავების თვალსაზრისით. და ბოლოს, ნამყო სრული არის ერგატიული ბრუნვის მინიჭების აუცილებელი პირობა.

ამოცანას წარმოადგენდა იმავე წინადადებების წარსულ დროში გადაყვანა: (ა) IPFV.PST; (ბ) PFV.PST; (გ) PRF.PST. დროისა და ასპექტის ცვლილება ქმნის სუბიექტის ბრუნვის ცვლილების წინაპირობას გარდამავალ და არაერგატიულ ზმნებთან და ბრუნვის შენარჩუნების წინაპირობას გარდაუვალ არაერგატიულ (და/ან პასიურ)² ზმნებთან ქართულში. გარდამავალ და გარდაუვალ არააკუზატიურ ზმნებთან დაკავშირებით მოსალოდნელი პასუხები იხ. (1) და (2).

(1)

- | | | | |
|--------------------------------|------------------------------------|---|-------------------------------|
| ა. | <i>kal-i</i>
woman- NOM | <i>a-chven-eb-d-a</i>
PR-show-THM- IPFV -3.SG.SBJ:PST | <i>surat-s</i>
picture-DAT |
| ‘Woman was showing a picture.’ | | | |
| ბ. | <i>kal-ma</i>
woman- ERG | <i>a-chven-a</i>
PR-show-3.SG.SBJ: PFV .PST | <i>surat-i</i>
picture-NOM |
| ‘Woman showed a picture.’ | | | |
| გ. | <i>kal-s</i>
woman- DAT | <i>u-chven-eb-i-a</i>
PV-show-THM- PRF -3.SG.SBJ:PST | <i>surat-i</i>
picture-NOM |
| ‘Woman has shown a picture.’ | | | |

2 არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ზოგიერთი ზმნის შესახებ, რომელიც იწარმოება (-ი)-სა და -ებ-ის გამოყენებით, კერძოდ, არის თუ არა მსგავსი ფორმები გარდაუვალი არააკუზატიური, არაერგატიული თუ პასიური (იხ. ჩიქობავა 2008 [1950], 1952; ლომთათიძე 1953; ნოზაძე 1958, 1961; შანიძე 1980, 1981; ჯორბენაძე 1983; მელიქიშვილი 2001, Melikishvili, Humphries and Kupunia 2008 და სხვ.).

(2)

- ა. *bavshv-i* *i-mal-eb-od-a* *otakh-shi*
 child-**NOM** PV-hide-THM-**IPFV**-3.SG.SBJ:PST room-in
 ‘Child was hiding in the room.’
- ბ. *bavshv-i* *da-i-mal-a* *otakh-shi*
 child-**NOM** PR-PV-hide-3.SG.SBJ:**PFV**.PST room-in
 ‘Child hid in the room.’
- გ. *bavshv-i* *da-malul-a* *otakh-shi*
 child-**NOM** PR-hidden-COP:3.SG.SBJ:**PRF**.PST room-in
 ‘Child was hidden in the room.’

ექსპერიმენტის დროს გამოიყენებოდა პერფექტის ფორმებიც, რადგანაც მხოლოდ აღნიშნული ფორმები აჩვენებს ნათლად პრედიკატების ტიპს და იძლევა სტრუქტურულ დონეზე გარდაუვალი ზმნის ტესტირების შესაძლებლობას: ზმნა არაერგატიულია თუ არააკუზატიური. შესაბამისად, გარდაუვალი არაერგატიული ზმნები გარდამავლების მსგავსად პერფექტის ფორმებს აწარმოებს ინვერსიულად გამოყენებული სუბიექტის შეთანხმების ნიშნების ზმნაზე დართვით, ხოლო გარდაუვალი არააკუზატივები და პასივები დამხმარე ზმნების დართვით, იხ. (3ა) და (3ბ).

(3)

ა. არაერგატიული ზმნების PRF, სუბიექტი DAT-ში	
SG	PL
<i>m-i-kʷamat-i-a</i> ‘to argue’ 1SG.SBJ[OBJ]-PV-argue-PRF-3SG.OBJ[SBJ]	<i>gv-i-kʷamat-i-a</i> 1PL.SBJ[OBJ]-PV-argue-PRF-3SG.OBJ[SBJ]
<i>g-i-kʷamat-i-a</i> 2SG.SBJ[OBJ]-PV-argue-PRF-3SG.OBJ[SBJ]	<i>g-i-kʷamat-i-a-t</i> 2SG.SBJ[OBJ]-PV-argue-PRF-3SG.OBJ[SBJ]-PL
<i>u-kʷamat-i-a</i> [3SG.SBJ[OBJ]]PV-argue-PRF-3SG.OBJ[SBJ]	<i>u-kʷamat-i-a-t</i> [3SG.SBJ[OBJ]]PV-argue-PRF-3SG.OBJ[SBJ]-PL

ბ. არაკუბატიური და პასიური ზმნების PRF, სუბიექტი NOM-ში	
SG	PL
<i>da-v-mjdar-var 'to sit'</i>	<i>da-v-mjdar-var-t</i>
PR-1SBJ-sit-COP:1SG.SBJ:PRF	PR-1SBJ-sit-COP:1SBJ-PL:PRF
<i>da-mjdar-khar</i>	<i>da-mjdar-khar-t</i>
PR-sit-COP:2SG.SBJ:PRF	PR-sit-COP:2.SBJ-PL:PRF
<i>da-mjdar-a</i>	<i>da-mjdar-an</i>
PR-sit-COP:3SG.SBJ:PRF	PR-sit-COP:3PL.SBJ:PRF

ამ შემთხვევებში მოსალოდნელი იყო იმის გამოვლენა, სად ჩნდება პრობლემები/შეცდომები გარდაუვალი ზმნების წარმოებისას. გარდა ამისა, პერფექტი ასევე გამოიყენება ენის მცოდნის ინტუიციური წარმოების შესამოწმებლად.

ყველა მაგალითი თხრობით კილოში იყო, რადგანაც კითხვების თანმიმდევრობას შეიძლება მოეხდინა ზეგავლენა ინფორმანტების პასუხებზე, მაგალითების შერჩევა მოხდა შერეული პრინციპით, კერძოდ, ერთმანეთში არეული იყო გარდამავალი / ირიბ გარდამავალი / გარდაუვალი ზმნები. იმისათვის, რომ ინფორმანტს არ შეეძლო მხოლოდ ერთი სტრუქტურის გამოყენება და ეს გამორიცხავდა წინა წინადადების ზეგავლენას მომდევნო წინადადების შედგენაზე. გარდა ამისა, არანაირი მინიშნება არ არსებობდა დროის ფორმის შერჩევასთან დაკავშირებით. ამ გზით ხდებოდა ინფორმანტების ტესტირება სხვადასხვა პრედიკატთან გამოყენების უფრო პროდუქტიული ფორმის ამოცნობის მიზნით. ექსპერიმენტულ მასალაში ჩაიღო თითო პირობის შესაბამისი შემავსებელი წინადადება, რომლებსაც ჰქონდათ ნომინატიური კონსტრუქცია ე.ი. სუბიექტის ბრუნვას PFV.PST-ში ნომინატივი წარმოადგენდა, სამაგალითოდ იხ. (4).

(4)

<i>uamrav-i</i>	<i>khe-Ø</i>	<i>i-ch'ʻ-eb-a</i>
lots-NOM	tree-NOM	PV-cut-THM-3SG.SBJ:PRS
'A lot of trees are being cut.'		

შესაბამისად, ინფორმანტებმა არ იცოდნენ პასუხების დანიშნულება და პასუხობდნენ ისე, როგორც ბუნებრივ გარემოში. გამოიყენებოდა, ასევე, ზოგიერთი პრობლემური გარდაუვალი ზმნა, რომელიც ყველა ფორმას არ აწარმოებდა. ასეთი ტესტირების მთავარ პრინციპს წარმოადგენდა წარმოებითი მოდელების ტესტირება და პრობლემური ლაკუნების გამოვლენა ერგატიული ბრუნვის გარდაუვალ ზმნებთან გამოყენებასთან დაკავშირებით.

3. შედეგები და ანალიზი

შედეგები ეყრდნობა 15 ინფორმანტის პასუხს. ბილინგვების ჯგუფის შედეგების განხილვა არ ხდება, რადგანაც გასათვალისწინებელია ის, რომ ბილინგვებში ჩნდება ნომინატივის გამოყენება ერგატივის მაგივრად, რაც შიდალინგვური/ტრანსფერული შეცდომებით აიხსნება. ბილინგვების შედეგების წარმოჩენას ცალკე სტატია დაეთმობა.

ექსპერიმენტის შედეგები სამ ნაწილად იყოფა, რომლებშიც განიხილება ბრუნვის მინიჭების გარდამავლობაზე დამოკიდებულების სხვადასხვა ასპექტი და წარმოდგენილია შემდეგნაირად: ნაწილი 3.1 მოიცავს ინფორმაციას პრობლემებისა და/ან სირთულეების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა წინადადებების შედგენისას სხვადასხვა პრედიკატის გამოყენებით; ნაწილი 3.2-ით მოწმდება ინფორმანტების ინტუიცია სხვადასხვა პრედიკატების გამოყენებით უფრო პროდუქტიული ფორმების გამოვლენის თვალსაზრისით; ნაწილი 3.3 აღწერს სტრატეგიებს, რომლებსაც მიმართავენ ინფორმანტები ნამყო სრულის პრობლემური ფორმების წარმოებისას.


3.1. სულიერებით, დროითა და ასპექტით და გარდამავლობით მინიჭებულების შედეგები

პირველი, რაც შემოწმდა იყო სულიერება/უსულოება, კერძოდ, დამოკიდებულია თუ არა ერგატიული ბრუნვის მინიჭება სულიერება/უსულოების კატეგორიაზე ქართულში. ბევრ ენაში (მაგალითად, ჰინდი, ბასკური და სხვ.) ერგატივი ასოცირდება სუბიექტის აგენსურობასა და ნებელობასთან, რაც სულიერი საგნების ტიპიურ მახასიათებლებს წარმოადგენს. წინადადებებში იყო წარმოდგენილი სუბიექტები ვინ ჯგუფის, რა ჯგუფის (სულიერი) და რა ჯგუფის (უსულო) სხვადასხვა ტიპის პრედიკატთან, იხ. (5ა), (5ბ) და (5გ).

(5)

ა.	<i>kal-i</i> woman-NOM 'Woman worries.'		<i>dard-ob-s</i> WORRY-THM-3SG.SBJ:PRS	
ბ.	<i>av-i</i> unkind-NOM	<i>dzhagh-i</i> dog-NOM	<i>k'ben-s</i> bite-3SG.SBJ:PRS	<i>bavhsv-eb-s</i> child-PL-DAT 'Angry dog bites children.'
გ.	<i>khe-Ø</i> tree-NOM	<i>i-skh-am-s</i> PV-COVER-THM-3SG.SBJ:PRS	<i>potol-s</i> leaf-DAT	'Tree covers with leaves.'

PFV ასპექტის გამოყენების შემთხვევებში პრობლემები არ გამოვლინდა – ERG ენიჭებოდა გარე არგუმენტს, რომელიც აკმაყოფილებდა სინტაქსური კონსტრუქციის მოთხოვნებს (სტრუქტურაში მეორე NP-ს არსებობას ან პრედიკატის არაერგატიულ ტიპს). ზოგიერთი პრობლემა წარმოჩინდა მაშინ, როცა ხდებოდა PFV.PST-ის წარმოება გარდაუვალ არაერგატიულ ზმნებთან და როცა აღნიშნული წარმოება არ იყო დამოკიდებული სუბიექტის თვისებებზე, არამედ სტრუქტურაში მეორე არგუმენტის არსებობაზე. მაგალითად, 3.2 პუნქტში მითითებულ მაგ. (6)-ში ‘მერი იცინის’ ერთ-ერთმა ინფორმანტმა გამოიყენა არა ფორმა *meri-m.ERG gaitsina*, არამედ *meri-s.DAT gaetsinos*, რითაც მოსალოდნელი ფორმა ჩაანაცვლა არააკუზატიური ზმნის ‘ეცინება’ კავშირებითის ფორმით, სადაც სუბიექტი დატივიშია და ამით, თავი აარიდა PFV.PST-ის ერგატივთან წარმოებას. ზოგიერთმა სხვა ინფორმანტმა გაიმეორა IPFV.PST-ის ფორმები არაერგატიულ პრედიკატებთან PFV.PST-ის წარმოებისას და შემდეგ სცადა, სწორი ფორმის მოძებნა ან შეეყვნდა წარმოებისას³. მსგავსი რამ არასოდეს ხდება გარდამავალი ზმნების შემთხვევაში, რომლებსაც სტრუქტურაში აქვთ ნათლად გამოხატული მეორე არგუმენტი. კვლავ, მსგავს შემთხვევებში არასოდეს ხდებოდა ზმნის არასწორი გამოყენება, არამედ ხდებოდა სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება შეცდომების არიდების მიზნით, რაც განიხილება 3.2 პუნქტში. მონაცემების სანახავად იხ. სურათი 1.



სურათი 1. სულიერებით, დროითა და ასპექტით და გარდამავლობით მანიპულირების შედეგები

3 თუნდაც ისეთი შორისდებულის გამოყენებით, როგორცაა „ვაიმე“.

წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ პრობლემები არ ჩნდება სრულ ასპექტთან და სუბიექტის სულიერება/უსულოებასთან დაკავშირებით. ყველა მონაწილე (ჯამურად 15) სწორად პასუხობდა და სწრაფად ამუშავებდა მონაცემებს, თუმცა ზოგიერთ პრობლემურ შემთხვევაში ჩერდებოდნენ, რაც დაწვრილებით განხილულია პუნქტ 3.2-სა და 3.3-ში. პრედიკატების სხვადასხვა გარდამავალ/გარდაუვალ ტიპთან დაკავშირებით, გარდაუვალ ზმნებთან ჩნდებოდა განსაზღვრული პრობლემები. როგორც პირველ სურათში ჩანს, 10-მა ინფორმანტმა ყველა კითხვას სწორად გასცა პასუხი, ხოლო 5 ინფორმანტს პრობლემები შეექმნა გარდაუვალ პრედიკატებთან PFV.PST-ის წარმოებასთან დაკავშირებით.

3.2. ინფორმანტების ინტუიციის ტესტირების შედეგები

ტესტი იმ სახით შემუშავდა, რომ ინფორმანტებს ჰქონოდათ წარსულ დროში ნებისმიერი წინადადების წარმოების შესაძლებლობა: PFV, IPFV და PRF ფორმის შერჩევის შემოწმება ხდებოდა იმაზე დაყრდნობით, თუ რომელი ტიპის პრედიკატი მისცემდა ინფორმანტის ინტუიციის შემოწმების შესაძლებლობას სხვადასხვა პრედიკატის პროდუქტიული გამოყენების თვალსაზრისით. ფსიქოლოგიურად უფრო ბუნებრივი და პროდუქტიული ვარიანტის შემოწმება ხდება პირველ ჯერზე შერჩეულ ფორმაზე დაყრდნობით, რაც გამორიცხავს იმ ზეგავლენას, რომელსაც შესაძლოა იწვევდეს წინა წინადადება მომდევნო წინადადების სინტაქსური გარჩევის თვალსაზრისით (იხ. Bock 1987, 1990; Cowart 1997).


PFV, IPFV და PRF ასპექტების წარმოებამ პრედიკატების სხვადასხვა ტიპთან გამოავლინა, რომ პირველი ფორმა, რომელსაც ირჩევდნენ ინფორმანტები გარდამავალი და ირიბ გარდამავალი ზმნების შემთხვევაში, იყო PFV.PST, ე.ი. ფორმა, რომელიც პოტენციურად გამოიყენებოდა ERG-თან, ხოლო გარდაუვალ ზმნებთან პირველ ჯერზე ირჩევდნენ IPFV.PST-ს, ე.ი. ფორმას, რომელიც პოტენციურად ითხოვდა NOM-ს. მნიშვნელობა არ ჰქონდა, გარდაუვალ ზმნებში იყო თუ არა წარმოდგენილი არაერგატივები, ე.ი. ფორმები, რომლებიც ითხოვენ ERG-ს PFV.PST-თან (6), ან არააკუზატივები და/ან პასივები, ე.ი. ფორმები, რომლებიც ითხოვენ NOM-ს PFV.PST-თან (7).

(6)

ა.	<i>meri-Ø</i>	<i>i-tsin-i-s</i>
	Mary-NOM	PV-laugh-THM-3SG.SBJ:PRS
	‘Mary laughs.’	

ბ.	<i>meri-Ø</i> Mary-NOM 'Mary was laughing.'	<i>i-tsin-od-a</i> PV-laugh-IPFV-3SG.SBJ:PST
გ.	<i>meri-m</i> Mary-ERG 'Mary laughed.'	<i>ga-i-tsin-a</i> PR-PV-laugh-3SG.SBJ:PFV.PST
დ.	<i>meri-s</i> Mary-DAT 'Mary has laughed.'	<i>ga-u-tsin-i-a</i> PR-PV-laugh-PRF-3SG.SBJ:PST
(7)		
ა.	<i>sakhl-i</i> house-NOM 'The house is heated.'	<i>tb-eb-a</i> heat-THM-3SG.SBJ:PRS
ბ.	<i>sakhl-i</i> house-NOM 'The house was heated (several times).'	<i>tb-eb-od-a</i> heat-THM-IPFV-3SG.SBJ:PST
გ.	<i>sakhl-i</i> house-NOM 'The house was heated (once).'	<i>ga-tb-a</i> PR-heat-3SG.SBJ:PFV.PST
დ.	<i>sakhl-i</i> house-NOM 'The house has been heated.'	<i>ga-mtbar-a</i> PR-heated-COP:3.SG.SBJ:PRF.PST

შესაბამისად, პირველი შერჩეული ფორმა იყო ის, რომელიც ნაჩვენებია (7ბ) და (8ბ). PRF ასპექტიანი ფორმები იყო უგულვებელყოფილი, არც ერთმა ინფორმანტმა არ გამოიყენა პირველ ჯერზე წინადადებები PRE.PST-თან. ორმა ინფორმანტმა მიმართა ყველა ფორმის ერთ ასპექტში წარმოების სტრატეგიას მათ შორის IPFV/PFV და მერე გადააქცია წინადადება საპირისპირო ასპექტის მქონე წინადადებად. შედეგები არ გამოხატავს ასპექტის არასწორი გამოყენების ფაქტებს, რაც მნიშვნელოვანია ბრუნვის შერჩევის პრინციპების დასადგენად, არამედ ეყრდნობა ინფორმანტების ინტუიციურ გადაწყვეტილებას, თუ რომელი ფორმა გამოიყენება პირველ ჯერზე, რადგანაც ის უფრო ბუნებრივია პრედიკატის გარდამავალი/გარდაუვალი ტიპის თვალსაზრისით. სურათი 2 აჩვენებს აღნიშნული საკითხის სტატისტიკურ შედეგს.



სურათი 2. ინტუიციის ტესტირების შედეგები გამოყენების უფრო პროდუქტიული ფორმის გამოვლენის მიზნით⁴

მეორე სურათიდან ჩანს, რომ 13-მა ინფორმანტმა წინადადებები გარდამავალი პრედიკატებით PFV.PST-ში აწარმოა, ხოლო 11-მა გარდაუვალი ზმნებით IPFV.PST-ში, მიუხედავად გარდაუვალი ზმნის ტიპისა. ბოლო შედეგი ასაბუთებს გარდაუვალი ზმნების პრობლემურობას ERG მინიჭებასთან დაკავშირებით.

3.3. პრობლემურ წინადადებებში ინფორმანტების მიერ გამოყენებული სტრატეგიების ანალიზი

არსებობს ზოგიერთი გარდაუვალი ზმნა⁵, მაგალითად, იფიცება, ილანძღება, ივინება და ა.შ., რომლებიც პრობლემურია პრედიკატის ტიპის თვალსაზრისით. ერთი მხრივ, სტრუქტურულად მათი ქცევა გარდაუვალ არააკუზატივებს წააგავს (რაც მოწმდება მათი PRF წარმოებითა და სხვადასხვა მორფოლოგიური ნიშნით, კერძოდ, PRS-ში -ებ თემატური სუფიქსით და -ა 3SG შეთანხმების მარკერით, რაც უფრო დამახასიათებელია არააკუზატივებისათვის და პასივებისთვის, შდრ.

4 სურათში წარმოდგენილი მონაცემები არ ასახავს იმ ორი ინფორმანტის პასუხებს, ვინც გამოიყენა წინადადების წარმოების ზემოხსენებული სტრატეგია – პირველ ჯერზე IPFV/PFV და შემდეგ საპირისპირო ასპექტში გამოყენებით. აღნიშნული სტრატეგია არ გვაძლევს ინტუიციის დონეზე პრედიკატის ტიპისა და ასპექტის კავშირის შემოწმების შესაძლებლობას.

5 ზოგიერთი მეცნიერი მათ პასივებად მიიჩნევს, იხ. სქოლიო 1.

იწერება), მეორე მხრივ, სემანტიკურად ეს ზმნები გამოხატავს აგენსურ აქტივობას, რაც დამახასიათებელია არაერგატიული ზმნებისათვის. ამ ზმნების შემთხვევაში პრობლემა ჩნდება PFV.PST-ში, სადაც ფორმა ან არ არსებობს, ან ივსება გარდამავალი ზმნის რეფლექსივის გამოყენების გზით და აღნიშნული ჩანაცვლების შედეგად ERG ენიჭება სუბიექტს. ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა ვლინდება ინფორმანტების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან დაკავშირებით, იხ. (8).

(8)

<i>av-i</i>	<i>dzaghl-i</i>	<i>i-k'bin-eb-a</i>
unkind-NOM	tree-NOM	PV-bite-THM-3SG.SBJ:PRS

'Angry dog bites.'

ეს წინადადება მიეწოდა ინფორმანტებს მსგავსი ზმნის ირიბ გარდამავალი კონსტრუქციის მაგალითის შემდეგ (9) ისე, რომ ინფორმანტებს ჰქონდათ შეგრძნება, რომ უნდა გამოეყენებინათ PFV.PST-ის ფორმა, რომელიც განსხვავებული უნდა ყოფილიყო გარდამავალი პრედიკატისგან.


(9)

<i>av-i</i>	<i>dzhaghl-i</i>	<i>k'ben-s</i>	<i>bavhsv-eb-s</i>
unkind-NOM	dog-NOM	bite-3SG.SBJ:PRS	child-PL-DAT

'Angry dog bites children.'

ფორმა *ო-კბინ-ებ-ა* (9) ივსებს PFV.PST-ს გარდამავალი რეფლექსივით *ო-კბინ-ა* არააკუზატიური გარდაუვალი ზმნის შემთხვევაში *ო-რეფლექსივის* ნიშნით, მაშინ, როცა ფორმა *კბენ-ს* (10), ე.ი. არაპირდაპირი გარდამავალი პრედიკატი PFV.PST-ს აწარმოებს მიზნის არგუმენტის *უ-აპლიკატივის* ნიშნით, *უ-კბინ-ა*.

სურათი 3 აჩვენებს იმ სტრატეგიებს, რომლებსაც მიმართეს ინფორმანტებმა შეცდომებისთვის თავის არიდებისა და სწორი პასუხის გაცემის მიზნით.



სურათი 3. ინფორმანტების მიერ გამოყენებული სტრატეგიების შედეგები

ინფორმანტებმა სამ ძირითად სტრატეგიას მიმართეს PFV.PST ფორმის სიცარიელის შესავსებად: ა) ჩანაცვლეს გარდამავალი ზმნებით, მათ შორის გვთავაზობდნენ ფორმათა მონაცვლეობას ზმნისწინის დართვით, (10ა) და (10ბ) ან ობიექტის დართვით ისე, რომ ხაზი გაესვას წინა წინადადებისგან განსხვავებას; ბ) უარს აცხადებდნენ ფორმის წარმოებაზე, რადგანაც ის არ არსებობს; და, გ) ცვლიდნენ ზმნის ვალენტობას კაუზატიური ფორმების წარმოების გზით.

(10)

ა. *av-ma* *dzhaghl-ma* *u-k'bin-a*
unkind-ERG dog-ERG PV-bite-3SG.SBJ:PFV.PST
'Angry dog bit (someone).'

ბ. *av-ma* *dzhaghl-ma* *da-k'bin-a*
unkind-ERG dog-ERG PR-bite-3SG.SBJ:PFV.PST
'Angry dog bit (someone).'

ზმნისწინის გამოყენება მაგალითებში, როგორცაა (10ბ) ძალიან მნიშვნელოვანია. სხვაობა (10ა)-სა და (10ბ)-ს შორის დამოკიდებულია აპლიკატივის უ-ნიშანზე, რომელიც სტრუქტურას სამიზნე არგუმენტს უმატებს, აღნიშნული არგუმენტი დატივშია, მაშინ, როცა (10ბ)-ს თე-

მის არგუმენტი, პაციენსი, რომელიც აგენსის არგუმენტის ზეგავლენას განიცდის და ითხოვს ნომინატივს (იხ. 11ა და 11ბ).


(11)

ა. *av-ma dzhagh1-ma skhva dzagh1-eb-s u-k'bin-a*
 unkind-ERG dog-ERG other dog-PL-DAT PV-bite-3SG.SBJ:PFV.PST
 'Angry dog bit other dogs.'

ბ. *av-ma dzhagh1-ma skhva dzagh1-eb-i da-k'bin-a*
 unkind-ERG dog-ERG other dog-PL-NOM PR-bite-3SG.SBJ:PFV.PST
 'Angry dog bit other dogs.'

შესაბამისად, (11ბ)-ში ჩნდება ჩვეულებრივი გარდამავალი კონსტრუქცია, რომელსაც შიდა არგუმენტი NOM-ში აქვს და შეუძლია ერგატივის წარმოება. შდრ. (11ა) და (11ბ) სტრუქტურები, რომლებიც ნაჩვენებია (12)-ში.

(12) ირიბი გარდამავალი (11ა) გარდამავალი (11ბ)




ერთი შეხედვით, შიდა არგუმენტს და- ზმნისწინი ამატებს. ზოგადად, ქართულში სტრუქტურაზე არგუმენტის დამატების ფუნქცია ზმნისწინებს ახასიათებს (ვალენტობის მატების ფუნქციის სანახავად იხ. მახარობლიძე 2010, 77–88). თუმცა, ამ შემთხვევაში არგუმენტის თემა და- ზმნისწინის საშუალებით არგუმენტის ჩარჩოს არ ემატება. უზმნისწინო ფორმა *k'bina.PFV.PST* 'კბინა', რომელიც აჩვენებს საუბრის დროისთვის შედეგის გარეშე დასრულებულ მოქმედებას, ასევე შეიცავს თემის არგუმენტს.⁶ აღსანიშნავია, ასევე, რომ და- ზმნისწინის სემანტიკური მნიშვნელობა ქმედებას მრავლობითობას უმატებს: *ავმა ძაღლმა დაკბინა ვინმე მრავალჯერ* (ზმნისწინების ფუნქციისათ-

6 მაღლობა მინდა მოვახსენო ანონიმურ რეცენზენტს მინიშნებისთვის: *ავმა ძაღლმა კბინა, კბინა და მოკლა*.


ვის იხ. შანიძე 1980, 239–260). მთავარი ფაქტორი არის ის, რომ ინფორმანტები გარდამავალ კონსტრუქციებს აწარმოებდნენ ზმნისწინების დართვით.

აღნიშნული სტრატეგია ირიბ მინიშნებას იძლევა არაერგატიული ზმნების პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით. DCT-ს თვალსაზრისით თეორიულ დონეზე ყველაზე პრობლემურია არაერგატიული ზმნები, რადგანაც მათ სტრუქტურაში მეორე არგუმენტი არ გააჩნიათ, და, შესაბამისად, არ არსებობს ბრუნვის ოპოზიცია. გარდაუვალი არაერგატიული ზმნები ქართულში გარდამავალი კონსტრუქციების მსგავსია და განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ მათ არ გააჩნიათ ნათლად გამოხატული შიდა არგუმენტი, გარდამავალი (მეორდება სიცხადისათვის (12-დან)) და არაერგატიული სტრუქტურებისათვის იხ. (13).

(13) გარდამავალი



არაერგატიული



ქართულში არაერგატიული ზმნების ნამყო სრულში ბრუნვა არის ERG, ისე, როგორც გარდამავალი სუბიექტის, მაშინ, როცა არააკუზატიურ სუბიექტებში ბრუნვის მორფოლოგია არის NOM, როგორც გარდამავალი ობიექტებისა. თვისებები, რომლებსაც არაერგატივები იზიარებენ გარდამავალ ზმნებთან, სხვებთან ერთად არის შემდეგი: ა) ბრუნვაში ცვალებადი სუბიექტი: TAM სერიების მიხედვით NOM-ERG-DAT, ბ) კაუზატივების წარმოება და, გ) ზმნის ვალენტობის ცვლილება აპლიკატიური ნიშნების დამატების გზით.

ვალენტობის მატება დამახასიათებელია არაერგატიული ზმნებისათვის და აჩვენებს, რომ არაერგატიულ ზმნებს შეუძლიათ შიდა არგუმენტის დამატება ან არსებული ფარული არგუმენტის ნათლად წარმოჩენა ზმნისწინების დამატების გზით, იხ. (14ა) და (14ბ):

(14)

ა.	<i>monadire-m</i>	<i>t'q'e-shi</i>	<i>i-nadir-a</i>
	hunter-ERG	forest-in	PV-hunt-3SG.SBJ:PFV.PST

‘A hunter hunted in the forest.’

- ბ. *monadire-m tq̄e-shi irem-i mo-i-nadir-a*
 hunter-ERG forest-in deer-NOM PR-PV-hunt-3SG.SBJ:PFV.PST
 'A hunter hunted a deer in the forest.'

(10)-ში წარმოდგენილ მაგალითებთან შედარებით უზმნისწინო ფრომა *ი-ნადირ-ა* არ შეიძლება გამოიყენებოდეს თემის არგუმენტთან NOM-ში.

სხვა სტრატეგია, რომელსაც მიმართეს ინფორმანტებმა, იყო კა-უზატივების წარმოება, რაც, ასევე, ნიშნავს, რომ წინადადება უნდა ყოფილიყო გარდამავალი და მასში უნდა ყოფილიყო შიდა არგუმენტი ERG მისანიჭებლად, როგორც (15)-ში.⁷

(15)

- av-ma dzhaghl-ma a-k'ben-in-a*
 unkind-ERG dog-ERG PV-bite-CAUS-3SG.SBJ:PFV.PST
 'Angry dog made someone to bite someone.'

მსგავსის ნახვა შესაძლებელია არაერგატიული ზმნების შემთხვევაშიც, იხ. (16).

(16)

- ა. *pekhburtel-ma i-t'ir-a*
 football_player-ERG PV-cry-3SG.SBJ:PFV.PST
 'A football player cried.'
- ბ. *pekhburtel-ma mek'are-Ø a-t'ir-a*
 football_player-ERG goalkeeper-NOM PV-cry-3SG.SBJ:PFV.PST
 'A football player made the goalkeeper cry.'
- გ. *pekhburtel-ma gund-s mek'are-Ø a-t'ir-eb-in-a*
 football_player-ERG team-DAT goalkeeper-NOM PV-cry-THM-CAUS-3SG.SBJ:PFV.PST
 'A football player let team make the goalkeeper weep.'

წინადადება (16ბ)-ში იღებს გარდამავალ და (16გ)-ში ორმაგად გარდამავალ კონსტრუქციას. ყველა აღნიშნული შედეგი აჩვენებს, რომ გარდამავლობა გადამწყვეტია არაერგატიული ზმნების შემთხვევაშიც კი, თუმცა საჭიროებს დამატებით უფრო ზუსტ შემოწმებას არაერგატიული ზმნების შესწავლის თვალსაზრისით. იმედს ვიტო-

⁷ მიუხედავად იმისა, რომ მაგალითის სემანტიკური მნიშვნელობა შეცვლილია და ცოტა გაუგებარია, აღნიშნული მაგალითი ინფორმანტებმა აწარმოეს.

ვებთ, რომ მომავალი კვლევა ამას აჩვენებს. წარმოდგენილ შედეგებზე დაყრდნობით საბოლოო დასკვნის გამოტანა არაერგატიული ზმნების სტრუქტურაში ფარული არგუმენტის არსებობის შესახებ ნაადრევია, თუმცა ზოგიერთი მინიშნება ამას ავლენს. მთავარ შედეგს წარმოადგენს ის, რომ ყველა სტრატეგია (გარდა უარისა), რომელსაც მიმართეს ინფორმანტებმა, მოიცავდა ვალენტობის ზრდის ოპერაციებს.

3.4. შედეგების შეჯამება

ა) ქართულის, როგორც მშობლიური ენის მცოდნე ინფორმანტებს, არ ჰქონდათ ERG-ის გარდამავალ ზმნებთან გამოყენების პრობლემა სუბიექტის თვისებებით: ვინ ჯგუფი, რა ჯგუფი (სულიერი/უსულო). სირთულეები, რომლებიც წარმოჩინდა გარდაუვალ ზმნებში, დამოკიდებულია არა იმდენად სუბიექტის ბუნებაზე, არამედ სტრუქტურაში არსებულ მეორე არგუმენტზე. პრობლემები არ გამოვლინდა PFV ასპექტის წარმოებისას, სადაც ERG ენიჭებოდა გარე არგუმენტს, როცა სტრუქტურაში იყო მეორე NP ან არაერგატიული ზმნები, რომლებსაც გარდამავლის მსგავსი კონსტრუქცია ახასიათებთ;

ბ) PST-ში უფრო პროდუქტიულია პერფექტივი გარდამავალი და ირიბ-გარდამავალი ზმნებისთვის და იმპერფექტივი – გარდაუვალი (როგორც არაერგატიული, ასევე არაკუზატიური) ზმნებისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ERG ბრუნვის მინიჭება უფრო ბუნებრივია გარდამავალი, ვიდრე გარდაუვალი პრედიკატებისათვის არაერგატიული ზმნების შემთხვევაშიც.

გ) რაც შეეხება სტრატეგიებს, რომლებსაც მიმართავდნენ ინფორმანტები პრობლემური წინადადებების შემთხვევაში, ყველა სტრატეგია მოიცავდა ზმნის პირიანობის მატებას. ეს სტრატეგიებია: გარდამავალი ზმნებით ჩანაცვლება, ობიექტის დამატება და კაუზატივების წარმოება. ეს ფაქტორი კი გადამწყვეტია ERG-ის მინიჭების თვალსაზრისით, რადგანაც განპირობებულია სტრუქტურაში ორი არგუმენტის არსებობით.

4. დასკვნითი შენიშვნები და კვლევის შემდგომი ეტაპები

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავდა ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით ემპირიული არგუმენტების წარმოჩენას იმ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, რომელიც გულისხმობს, რომ გარდამავლობა გადამწყვეტია ერგატიული ბრუნვის მინიჭების თვალსაზრისით ისეთ ენებშიც, როგორცაა ქართული, რომელსაც დროისა და ასპექტის სხვაობაზე დაფუძნებული ხლენილი ერგატიულობა ახასიათებს. მესა-

მე ნაწილში წარმოდგენილი შედეგები აჩვენებს, რომ ერგატივის მინიჭების ბუნებრივი სტრუქტურა დამოკიდებულია გარდამავალ პრედიკატებზე და პრობლემური შემთხვევები უკავშირდება გარდაუვალ ზმნებს. უფრო მეტიც, ინფორმანტების მიერ გამოყენებული ყველა სტრატეგია მიმართული იყო პრობლემური საკითხების გადაწყვეტისკენ პირიანობის მატების გზით, ისე, რომ სტრუქტურა გამხდარიყო გარდამავალი.

ყველა მონაწილე ძალიან ზუსტად აწარმოებდა წინადადებებს. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათთვის ქართული მშობლიური ენაა. ინტუიციზზე დაყრდნობით მათ გამოავლინეს პრობლემური საკითხები ქართულში ერგატიული ბრუნვის მინიჭებასთან დაკავშირებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ერგატივის მინიჭების ყველა პრობლემა ჩნდებოდა გარდაუვალ ე.წ. არაერგატიულ ზმნებში, და ზოგიერთი არააკუზატიური ზმნის შემთხვევაშიც, სადაც არ არსებობდა PFV.PST-ის ფორმები და ხდებოდა მათი ჩანაცვლება გარდამავალი ზმნების სხვადასხვა ფორმით.

ამ ეტაპზე მიღებული შედეგების შეჯამება შესაძლებელია შემდეგნაირად: კვლევა მიეძღვნა სამ საკითხს: ა) რომელია ერგატივის მინიჭების ბუნებრივი სტრუქტურა; ბ) რომელი ტიპის პრედიკატებთან ჩნდება პრობლემა ერგატივის მინიჭების დროს, და, გ) რომელ სტრატეგიას უფრო ხშირად მიმართავენ ინფორმანტები პრობლემური პრედიკატების შემთხვევაში, რომლებსაც ყველა ფორმა არ გააჩნია.

ძირითადი მიგნებები ასეთია:

- ა) ერგატივის მინიჭების ბუნებრივი სტრუქტურა გულისხმობს გარდამავალი კონსტრუქციის არსებობას. ეს გამოვლინდა ინფორმანტების ინტუიციური გადაწყვეტილებების ტესტირების დროს, როცა ასპექტით განსხვავებული წარსული დროის სამი ფორმიდან ერთ-ერთს ირჩევდნენ.
- ბ) როგორც აღინიშნა, პრობლემური საკითხები ჩნდებოდა გარდაუვალ ზმნებთან. იმის გათვალისწინებით, რომ არის ორი ტიპის გარდაუვალი ზმნა: არაერგატიული და არააკუზატიური, რომლებსაც სხვადასხვა შიდა სტრუქტურა ახასიათებთ და შედეგად იღებენ ან ERG-ს (არაერგატიული ზმნების შემთხვევაში აგენსის არგუმენტს) ან NOM-ს (არააკუზატიური ზმნების შემთხვევაში თემის არგუმენტს) PFV.PST-ში. პრობლემური, როგორც ჩანს, არის არაერგატიული ზმნები.
- გ) სტრატეგიები, რომლებსაც იყენებენ ინფორმანტები შეცდომებისთვის თავის არიდების მიზნით, PFV.PST-ის არმქონე გარდაუვალ ზმნებში პირიანობის მატების საჭიროებას ავლენს.

ეს სტრატეგიებია: ა) გარდამავალი ზმნებით ჩანაცვლება; ბ) ობიექტის დამატება; გ) კაუზატივების ფორმირება; დ) და-ზმნისწინის პრედიკატზე დართვა, რომელიც ვალენტობის ცვლასთან ასოცირდება.

კვლევის შემდეგი ეტაპი გულისხმობს იმის შემოწმებას, წარმოდგენილია თუ არა არაერგატიული ზმნების სტრუქტურაში ფარული არგუმენტი, რომელსაც აქვს ბრუნვის ოპოზიციის ფუნქცია ERG ბრუნვის მინიჭების თვალსაზრისით.

შემოკლებანი

- DCT – დამოკიდებული ბრუნვის თეორია
- DSM – სუბიექტის დიფერენციული მარკირება
- ICT – თანდაყოლილი ბრუნვის თეორია
- NP – სახელური შესიტყვება
- TAM – დრო, ასპექტი, კილო

გლოსები

- CAUS – კაუზატივი
- COP – კოპულა
- DAT – დატივი, მიცემითი
- ERG – ერგატივი, მოთხრობითი
- IPFV – უსრული, იმპერფექტივი
- NOM – ნომინატივი, სახელობითი
- PFV – სრული, პერფექტივი
- PL – მრავლობითი
- PR – ზმნისწინი
- PRF – პერფექტი
- PRS – აწმყო
- PST – ნამყო
- PV – ქცევის ნიშანი
- SBJ – სუბიექტი
- SG – მხოლობითი
- THM – თემის ნიშანი

მაღლობის გადახდა/ინფორმაცია დაფინანსების შესახებ

აღნიშნული სტატია არის გეორგ აუგუსტის გიოტინგენის უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ნაწილი (2018-2021), რომელიც ხორციელდება ფოლსკვა-

გენის ფონდისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) დაფინანსებით [გრანტის ნომერი N04/46, პროექტის ნომერი N93569]. ავტორი მადლობას უცხადებს ორ ანონიმურ რეცენზენტს კონსტრუქციული შენიშვნებისათვის და ექსპერიმენტში მონაწილე ყველა ინფორმანტს თანამშრომლობისათვის.

დამოწმებანი

- ლომთათიძე, ქეთევან. 1953. თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. 4: 75–81.
- მახარობლიძე, თამარ. 2010. ზმნისწინის ექვსი ფუნქცია და ზმნისწინთა კლასიფიკაცია. წიგნში *ლინგვისტური წერილები II*, 77–88. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ნეკერი.
- მელიქიშვილი, დამანა. 2001. *ქართული ზმნის უღლებების სისტემა*. თბილისი: ლოგოს პრესი.
- ნოზაძე, ლამარა. 1958. ინ-ენიანი ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. 9-10: 129–134.
- ნოზაძე, ლამარა. 1961. პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითის ურთიერთობისათვის ქართულში. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები II*: 63–72.
- შანიძე, აკაკი. 1980. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შანიძე, აკაკი. 1981. აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით. წიგნში *ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩიქობავა, არნოლდ. 2008 [1950]. ქართული ენის ზოგადი დახასიათება. წიგნში *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, 28–85. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჩიქობავა, არნოლდ. 1952. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯორბენაძე, ბესარიონ. 1983. *ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Amiridze, Nino. 2006. *Reflexivization Strategies in Georgian*. Utrecht: LOT Dissertation series.
- Baker, Mark C. 2013. On Agreement and its Relationship to Case. Some Generative Ideas and Results. *Lingua* 130: 14–32.

- Baker, Mark C. 2014. On Dependent Ergative Case (in Shipibo) and its Derivation by Phase. *Linguistic Inquiry*, Vol. 45, No 3: 341–379.
- Baker, Mark C. 2015. *Case. Its Principles and its Parameters*. Cambridge: Cambridge University Press
- Baker, Mark C. and Jonathan David Bobaljik. 2017. On Inherent and Dependent Case Theories of Ergative Case. In Coon, Massam and Travis 2017, 111–135.
- Baker, Mark C. and Nadezhda Vinokurova. 2010. Two Modalities of Case Assignment in Sakha. *Natural Language and Linguistic Theory* 28: 593–642.
- Bobaljik, Jonathan David. 1993. On Ergativity and Ergative Unergatives. In *Papers on Case and Agreement II*, Vol. 19 of *MIT Working Papers in Linguistics*, ed. Colin Phillips, 45–88. Cambridge, MA: MITWPL.
- Bobaljik, Jonathan David. 2008. Where's Phi? Agreement as a Postsyntactic Operation. In *Phi theory: Phi-Features across Interfaces and Modules*, eds. Daniel Harbour, David Adger and Susana Bejar, 295–328. Oxford: Oxford University Press.
- Bock, J. Kathryn. 1987. Coordinating Words and Syntax in Speech Plans. In *Progress in the psychology of language*, ed. Andrew Ellis, 337–390. London: Lawrence Erlbaum.
- Bock, J. Kathryn. 1990. Structure in Language: Creating Form in Talk. *American Psychologist* 45: 1221–1236.
- Chomsky, Noam. 1995. *The Minimalist Program*. Cambridge, MA: MIT Press.
- Chomsky, Noam. 2000. Minimalist Inquiries: The Framework. In *Step by Step: Essays on Minimalist Syntax in Honor of Howard Lasnik*, eds. Roger Martin, David Michaels and Juan Uriagereka, 89–155. Cambridge, MA: MIT Press.
- Coon, Jessica, Diane Massam and Lisa Demena Travis, eds. 2017. *The Oxford Handbook of Ergativity*. Oxford: Oxford University Press.
- Cowart, Wayne. 1997. *Experimental Syntax. Applying Objective Methods to Sentence Judgments*. London/New Delhi: SAGE Publications.
- Harris, Alice. 1981. *Georgian Syntax: A Study in Relational Grammar*. Cambridge: Cambridge University Press.
- Harris, Alice. 1982. Georgian and the Unaccusative Hypothesis. *Language*, Vol. 58, No 2: 290–306.
- Harris, Alice. 1990. Georgian: A Language with Active Case Marking. *Lingua* 80: 35–53.
- Hewitt, George. 1982. Review article on A. C. Harris 'Georgian Syntax: A Study in Relational Grammar'. *Lingua* 59: 247–274.
- Hewitt, George. 1987. Georgian: Ergative or Active? *Lingua* 71: 319–330.

- Hewitt, George. 1995. *Georgian: A Structural Reference Grammar*. Amsterdam: Benjamins.
- Laka, Itziar. 1993. Unergatives that Assign Ergative, Unaccusatives that Assign Accusative. In *Papers on Case and Agreement I*, Vol. 18 of *MIT Working Papers in Linguistics*, eds. Johnathan David Bobaljik and Colin Phillips, 149–172. Cambridge, MA: MITWPL.
- Legate, Julie Anne. 2008. Morphological and Abstract Case. *Linguistic Inquiry*, Vol. 39, No 1: 55–101.
- Levin, Beth. 1983. On the Nature of Ergativity. Doctoral Dissertation, MIT, Cambridge, MA.
- Levin, Theodore and Omer Preminger. 2015. Case in Sakha. *Natural Language and Linguistic Theory* 33: 231–250.
- Marantz, Alec. 2000 [1991]. Case and Licensing. In *Arguments and Case, Explaining Burzio's Generalization*, ed. Eric Reuland, 11–31. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company.
- McFadden, Thomas. 2004. The Position of Morphological Case in the Derivation: a Study on the Syntaxmorphology Interface. Doctoral dissertation, Philadelphia, PA: University of Pennsylvania.
- Melikishvili, Damana, J. Daniel Humphries and Maia Kupunia. 2008. *The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis*. Hyattsville, MD: Dunwoody Press.
- Nash, Léa. 1996. The Internal Ergative Subject Hypothesis. In *Proceedings of the North East Linguistic Society 26*, ed. Kiyomi Kusumoto, 195–210. Amherst: GLSA.
- Nash, Léa. 2007. The Structural Source of Split Ergativity and Ergative Case in Georgian. In Coon, Massam and Travis 2017, 175–205.
- Preminger, Omer. 2014. *Agreement and Its Failures*. Cambridge, MA: MIT Press.
- Ura, Hiroyuki. 2006. A Parametric Syntax of Aspectually Conditioned Split-Ergativity. In *Ergativity: Emerging Issues*, eds. Alana Johns, Diane Massam and Juvenal Ndayiragije, 111–141. Dordrecht: Springer.

ARTICLES

Svetlana Berikashvili

Ilia State University

Georg August Universität Göttingen

Does Ergative Case Assigning Depend on the Transitivity Condition in Georgian?

Keywords: *dependent case, transitivity, ergative, Georgian*

1. Introduction

1.1. Theoretical framework

The ergative case, if structural is assumed to be assigned worldwide either via agreement with a functional category, or by a rule of dependent case (see Baker 2013 for definition of structural cases). In the current article, I adopt the theoretical assumptions of the Dependent Case Theory (henceforth DCT) originally proposed by Marantz (1991) and further developed in McFadden (2004), Bobaljik (2008), Baker and Vinokurova (2010), Baker (2014, 2015) and Baker and Bobaljik (2017), among others. The main idea of the DCT is that ERG is assigned to the higher NP when there are two NPs in the same domain. The rule of DCT states: “If NP₁ c-commands NP₂ and both are contained in the same domain (say, clause), then value the case feature of NP₁ as ergative” (Baker and Bobaljik 2017, 112). So, the decisive in current theory is the existence of two arguments in the structure, i.e. the transitivity condition as such. Based on samples of different ergative languages, like Shipibo, Sakha, etc. many scholars regard ERG as a dependent case (see Marantz 2000 [1991], Bobaljik 2008, Baker and Vinokurova 2010, Baker 2013, 2014, 2015, Preminger 2014, Levin and Preminger 2015, Baker and Bobaljik 2017, etc.).

The Georgian ERG case has been less systematically investigated, though in the international generative tradition, Georgian seems to be more thoroughly studied, along with Hindi and Basque, than many other ergative languages.

Still, it is mostly restricted to a number of papers on different issues. The papers that should be mentioned about case assigning and which provide examples from Georgian are those of Marantz (2000 [1991]), according to whom Georgian ERG can be used as an example of DCT; of Legate (2008), who uses Georgian examples in argumentation for the Inherent Case Theory (ICT, not discussed in this paper); of Ura (2006), who explores the syntactic mechanism of the aspectually conditioned split-ergativity and provides Georgian examples under the Chosmsky's (1995, 2000) Agr-less theory; and of Nash (2017), who examines split ergativity in Georgian in order to understand the difference between ergative and nominative behaviour, showing that it is formal-syntactic transitivity, not theta roles, that determines case marking. As such, Nash (2017) provides an account regarding ERG as a dependent case (but with some configurations) in Georgian, though in her previous work it was regarded as an inherent (see Nash 1996).

The current work provides empirical data to show that transitivity is decisive in assigning ERG in Georgian.

